საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის ნარკვევი

ივლისი 2024 / გამოცემა #65

უფსკრული/ხიდჩატეხილობის პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის: ბარიერები და გამოწვევები არჩევნებში ხმის მიცემის პროცესში

ვიქტორია არაქელიანი[1]

მოკლე შინაარსი

ეთნიკური უმცირესობები საქართველოში მუდმივად აწყდებიან სხვადასხვა დაბრკოლებას, რომელთა შორის ერთ-ერთს არჩევნებში ხმის მიცემისა და პოლიტიკური მოსაზრებების დაფიქსირების პრობლემა წარმოადგენს. წინამდებარე კვლევამ გამოავლინა ის ძირითადი პრობლემები, რის გამოც ეთნიკური უმცირესობები, კონკრეტულად კი სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად სომხები, სათანადოდ ვერ ერთვებიან საარჩევნო პროცესში. აღნიშნული საკითხის სიღრმისეული განხილვა და ქვეყანაში ყველა მოქალაქისთვის არჩევანის გასაკეთებლად თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად. ამის მისაღწევად, საჭიროა, საქართველოს მთავრობა, პოლიტიკური პარტიები და, ასევე, საერთაშორისო პარტნიორები აქტიურად ჩაერთონ საკითხის გარშემო მიმდინარე პროცესებში და წაახალისონ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების მონაწილეობა საარჩევნო ხმის მიცემის პროცესში.

ნაშრომში მოყვანილი არგუმენტები ერთი მხრივ, სხვადასხვა დოკუმენტებსა და ლიტერატურას, ხოლო მეორე მხრივ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებს ეყრდნობა. გარდა ამისა, ერთ-ერთი არსებული მექანიზმის

[1] ვიქტორია არაქელიანი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ცენტრის (PPAHub) მონაწილე.

ეფექტიანობის დასადგენად ჩატარდა მოკლე ექსპერიმენტი ერთ-ერთ ეთნიკურად სომეხ რესპონდენტთან, რომელიც ქართულ ენას თითქმის არ ფლობს. ბოლო ნაწილში, ნაშრომი ასევე გასცემს კონკრეტულ რეკომენდაციებს ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებული პრობლემების გადასაჭრელად როგორც საქართველოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, ეთნიკური სომხები, არჩევნები, პოლიტიკა, პოლიტიკური პარტიები, ჩართულობა, რეგიონები, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, დაბრკოლებები

შესავალი

ეთნიკური უმცირესობები საქართველოს განვითარებაში ძალიან დიდ როლს თამაშობენ და მათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მათი სრულყოფილი ჩართულობა ყველა მიმართულებით დემოკრატიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რამდენადაც ეს საზოგადოების ერთიანობას, თანასწორობას და მასში უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრირებას უწყობს ხელს.

ბოლო მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წილი საქართველოს მოსახლეობაში 13.2 პროცენტს შეადგენს. აქედან, ეთნიკურად აზერბაიჯანელები (6.3%) და სომხები (4.5%) ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ (Geostat.ge 2014). საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება ქვეყნისთვის პოტენციურად მნიშვნელოვანი რესურსია, თუმცა ეთნიკური უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ნაკლებობა კვლავ გამოწვევად რჩება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით შესამჩნევია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც ეთნიკური სომხები ნაკლებად არიან ჩართულები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და არც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას. (Veloy-Mateu 2016).

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება მათ მშობლიურ ენებზე ძირითადად მხოლოდ საარჩევნო პერიოდში ხდება, რაც ეთნიკურად სომხების ექსკლუზიაზე მიუთითებს (ახალციხე, შერეული, 3 მაისი, 2024). გარდა ამისა, დიდ პრობლემას

წარმოადგენს ნდობის ნაკლებობა - რესპონდენტთა მხოლოდ 12.6% გამოხატავს ნდობას და ინტერესს პოლიტიკური პარტიების მიმართ (Open Society – Georgia 2019), რაც, შესაბამისად, არჩევნებში მათ ნაკლებ ჩართულობაში აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენება, კვლევები ადასტურებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის მიღება მათთვის ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს (Publika.ge 2022). ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების ფონზე, დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების სრულყოფილად ჩართვა საარჩევნო პროცესებში. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საკითხის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ზრდის. შესაბამისად, აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა იმის გამოკვლევა, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხების არჩევნებში ხმის მიცემის თანაბარი შესაძლებლობები და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრა.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ხარისხობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, ფოკუს ჯგუფები, ექსპერიმენტი და მეორადი წყაროების ანალიზი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სხვადასხვა ასაკის ეთნიკურად სომეხ მოსახლეობასთან. რაც შეეხება ექსპერიმენტს, მასში მონაწილეობას იღებდა ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი რესპონდენტი და მის მიზანს პოლიტიკური პარტიების შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესში ენობრივი ბარიერით გამოწვეული სირთულეების შეფასება წარმოადგენდა. შესაბამისად, ნაშრომი აღწერს იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები საარჩევნო პროცესში აწყდებიან და აფასებს სახელმწიფოს მიერ შექმნილი და უკვე დანერგილი მექანიზმების ეფექტურობას. ბოლოს, ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, ნაშრომი გასცემს რეკომენდაციებს ზემოთხსენებული პირების/წარმომადგენლების მიმართ.

ეთნიკური უმცირესობების ძირითადი გამოწვევები არჩევნებში ჩართულობის პროცესში

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ითვალისწინებდეს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ხმა, მათ წინაშე მდგარი უამრავი გამოწვევისა და დაბრკოლების გამო, გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე ვერ აღწევს (გვასალია 2024). წინამდებარე ნაშრომი აღწერს იმ კონკრეტულ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, სრულყოფილად ჩაერთონ საარჩევნო პროცესში და ღიად დააფიქსირონ თავიანთი აზრი. ქვემოთ აღწერილი ფაქტორების ფონზე, ისინი ან საერთოდ ვერ იღებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას (არ დადიან არჩევნებზე და არ აფიქსირებენ თავიანთ აზრს), რაც ხმების დიდი პროცენტის დაკარგვაზე მიუთითებს, ან ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ძირითადად მმართველ პარტიას აძლევენ ხმას.

ენობრივი ბარიერი და ინფორმაციული ვაკუუმი

ეთნიკური უმცირესობებისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას ენობრივი ბარიერი წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების და აზერბაიჯანელების 60%-ს, მათივე შეფასებით, ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია ქართულად კომუნიკაცია, ხოლო ქართულად დაწერილი ტექსტიდან შინაარსის გაგება ცუდად შეუძლია კიდევ უფრო დიდ ნაწილს (84%) (Fleras 2022). აღსანიშნავია, რომ ენობრივი ბარიერი, და ზოგადად სახელმწიფო ენის უცოდინრობა, ეთნიკური უმცირესობების უფროს თაობას ინფორმაციულ ვაკუუმში ტოვებს, რადგან მათ მშობლიურ ენაზე საინფორმაციო წყაროები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით როდესაც ეს ეხება პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. როგორც სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რეგიონში უფროსი თაობა ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობს ქართული პოლიტიკური პარტიების შესახებ და მათთვის სომხურ ენაზე ობიექტური ინფორმაციის მიღება ძალიან რთულია (ახალციხე, შერეული, 3 მაისი, 2024). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ვაკუუმისა და საინფორმაციო წყაროების ნაკლებობის გამო, ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა ძირითადად მმართველ პარტიას აძლევს ხმას, რადგან სხვა კანდიდატების შესახებ ბევრ ინფორმაციას არ ფლობენ (კახიშვილი, 2018).

ფოკუს ჯგუფთან ჩატარებული დისკუსიის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნული ტენდენცია ძირითადად უფროს თაობაში არსებობს, ხოლო ახალი თაობა შედარებით უფრო მეტად ინფორმირებულია პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის შესახებ (ახალციხე, შერეული, 3 მაისი 2024). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფებში გამოკვეთილი ინფორმირების დონის სხვაობა ახალ და უფროს თაობებს შორის შესაძლოა იმით აიხსნას, რომ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდების უმრავლესობა უმაღლეს განათლებას თბილისში ქართულ ენაზე იღებს, რაც მათ ინფორმირებას ხელს უწყობს (დალაქიშვილი & ირემაშვილი 2020). თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ უმაღლესი განათლება ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ 16%-ს აქვს (დალაქიშვილი & ირემაშვილი 2020). საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ რეგიონს სათანადო ინფორმაცია არ მიეწოდება, რაც, შესაბამისად, ცენტრსა და პერიფერიებს შორის ხიდჩატეხილობის პრობლემას იწვევს.

<u>არასაკმარისი სამოქალაქო და პოლიტიკური განათლება</u>

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2017 და 2018 წლების განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ფაქტობრივად არ იყვნენ დაინტერესებულები პოლიტიკური ტენდენციებით: მათ შორის, ისინი არ იყენებდნენ მედია საშუალებებს პრობლემებზე საჯაროდ საუბრისთვის, არ იღებდნენ მონაწილეობას მშვიდობიან აქციებში და ა.შ. (Open Society – Georgia, 2019). კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიები არ გამოხატავენ ეთნიკური უმცირესობების ინტერესებს, რაც მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მოტივაციას კიდევ უფრო მეტად აკარგვინებს. თუმცა, გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფების შედეგად ასევე დადგინდა, რომ არჩევნებში ნაკლები ჩართულობის მთავარ მიზეზს არა მხოლოდ არასაკმარისი ინტერესი, არამედ უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების არასათანადო სამოქალაქო და პოლიტიკური განათლებაც წარმოადგენს (ახალქალაქი, ასაკი 18-35, 1 მაისი 2024).

ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა ენობრივ ბარიერთან და ინფორმაციულ ვაკუუმთან არის გადაჯაჭვული. თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობები როგორც ქვემო ქართლში, ისე სამცხე-ჯავახეთში მშობლიურ ენაზე სწავლობენ და, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური განათლების მიმართულებით განვითარება და არჩევნებში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებაც სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოხდეს.

საერთო ჯამში, ორი ძირითადი პრობლემა გამოვლინდა: ეთნიკური უმცირესობები არასაკმარისი ინტერესისა და არასათანადო სამოქალაქო განათლების გამო ან საერთოდ არ იღებენ არჩევნებში მონაწილეობას, ან მიდიან არჩევნებზე, თუმცა არასაკმარისი ინფორმაციის გამო, პარტიების პოლიტიკური გეგმების გაცნობის გარეშე აკეთებენ არჩევანს (კუნჭულია 2014).

არსებული სახელმწიფო მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული ბარიერების განხილვის შემდგომ, მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა მექანიზმები და გადაჭრის გზები არსებობს არჩევნებში მათი სრულფასოვანი ჩართულობისა და არჩევანის გაკეთების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. 2023 წლის ბოლოს, ევროკომისიამ საქართველოს 9 დათქმა გადასცა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფას გულისხმობს. იმავე დოკუმენტში, ასევე ხაზგასმულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების მნიშვნელობა, რომლის ერთ-ერთ პუნქტს სწორედ ეროვნული უმცირესობების ჩართულობა წარმოადგენს (Radiotavisupleba.ge 2023). ეუთოს 2021 წლის შუალედური ანგარიშის თანახმად, ეთნიკური უმცირესობები საარჩევნო პროცესებში ჩართულები არიან, არსებობს გარკვეული დადებითი ტენდენციები და არჩევნებთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციას მშობლიურ ენაზეც იღებენ, თუმცა. იქვე აღნიშნულია, რომ კვლავ არსებობს გამოწვევები (OSCE/ODIHR Interim Report, 2021).

<u>ცესკოში შექმნილი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი</u>

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) აქტიურად ცდილობს ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართვას. ამას ადასტურებს ისიც, რომ ინკლუზიურობის გაზრდისა და ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, ცესკომ ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შექმნა (CEC, 2022). აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მრავალი საინფორმაციო კამპანია და გადამზადების ტრენინგი ტარდება, როგორიცაა, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ დაგეგმილი

ინფორმირების კამპანია. ამ პროცესებში ასევე დიდ როლს თამაშობს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

საინფორმაციო კამპანიები და ვებ-გვერდები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დონეზე აქტიურად ხდება ინფორმაციის მიწოდება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და ასევე, არსებობს ბევრი ადგილობრივი მედია, რომელიც უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე აშუქებს ინფორმაციას და ქართულენოვან მედიაშიც ცალკე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნება ახალი ამბები, აღნიშნული საკითხი მაინც ჯერ კიდევ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს (ნინოწმინდა, ასაკი 35-65, 2 მაისი, 2024).

ასევე ბევრი სხვადასხვა პრობლემა არსებობს უშუალოდ არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიურ ენებზე გავრცელების მიმართულებით. ახალქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანმა, ზურა მელიქიძემ, 2022 წლის ბოლოს გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ცესკოს ვებ-გვერდზე ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ ენაზე მოცემულია სრული ინფორმაცია არჩევნების შესახებ რეგიონების მიხედვით, მათ შორის ამომრჩეველთა რაოდენობისა და კანდიდატების შესახებ ინფორმაცია (Radiotavisupleba.ge 2022). თუმცა, აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ცესკოს მთავარი ვებ-გვერდი მხოლოდ ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი მანამ, სანამ კონკრეტული პირი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონიდან თავის პირად მონაცემებს არ შეიყვანს. როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილშია აღნიშნული, ეთნიკური უმცირესობების 63% ცუდად ან ძალიან ცუდად ცნობს ქართულ ასოებს (Fleras 2022) და შესაბამისად, ცესკოს ვებ-გვერდზე ორიენტირება მათთვის ბარიერს წარმოადგენს. ამ მიმართულებით, ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთ მონაწილესთან ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად მარტივია ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში ცესკოს ვებ-გვერდის გამოყენება და ეთნიკურად სომხებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის მიგნება (ნინოწმინდა, ასაკი 35-65, 2 მაისი, 2024). დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის საინტერესო ინფორმაციის ქვეკატეგორიები მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი, რაც, შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობების ნაწილისთვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდეს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ეთნიკურ უმცირესობებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული უფსკრული დღესდღეობით საქართველოში დიდ გამოწვევად რჩება. საქართველოსთვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ინკლუზიური გარემოს შექმნა, სადაც საკუთარი ხმის გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე მიტანის, მოსაზრებების ღიად დაფიქსირებისა და კარგად გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ნებისმიერ მოქალაქეს თანაბრად ექნება. ქვეყანაში ამ მიმართულებით უკვე არსებული მექანიზმები არ არის სრულყოფილი და არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად. როგორც კვლევამ აჩვენა, არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების როლს ხშირად არასაკმარისი ყურადღება ექცევა. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების კამპანიების შესახებ წინასწარი სათანადო ინფორმაციის ნაკლებობა ან საერთოდ არქონა.

ბოლო წლების განმავლობაში, ცესკო აქტიურად მუშაობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების საარჩევნო უბნებში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ინფორმაციის მომზადებაზე, გაზიარებასა და საინფორმაციო ბუკლეტების გაცემაზე, თუმცა, ამასთან ერთად, ასევე საჭიროა მოსახლეობისთვის წინასწარი ინფორმაციის მიწოდება და არა მხოლოდ მათი უშუალოდ საარჩევნო პერიოდის დროს ინფორმირება. ენობრივი ბარიერი დამატებით დისტანციას ქმნის ეთნიკურ უმცირესობებსა და ნებისმიერი სახის პოლიტიკურ აქტივიზმს შორის.

საქართველოში დემოკრატიის გასამყარებლად და ევროკავშირის მიერ გაცემული 9 დათქმიდან ერთ-ერთი ქვეპუნქტის შესასრულებლად, მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეფექტური პრაქტიკის გათვალისწინება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილად ჩართვისა და პოლიტიკური პროცესების მიმართ მათი ინტერესის გაზრდის მიმართულებით. საერთაშორისო პარტნიორებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი საქართველოში აღნიშნული ასპექტის განვითარებას.

<u>რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას</u>

- **შეიქმნას ქართული ენის შესწავლის დამატებითი შესაძლებლობები სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის,**

არამედ უფროსი თაობისთვისაც, რადგან მათ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს არა უბრალოდ ენობრივი ბარიერი, არამედ ენის საერთოდ არცოდნა. აღნიშნული რეკომენდაცია ეყრდნობა ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებისა და საჭიროების კვლევის შედეგებს.

- **შემუშავდეს ონლაინ პლატფორმა, რომლის მიზანიც იქნება ამომრჩევლის ცნობიერების ამაღლება პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.** ეს იქნება არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდისთვის განკუთვნილი, არამედ უფრო გრძელვადიანი პროექტი, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, თვალი ადევნონ პოლიტიკურ სიახლეებს და გააკეთონ პოლიტიკური ანალიზი. როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის აქტიური მიწოდება ძირითადად მხოლოდ საარჩევნო პერიოდში ხდება, რაზე დაყრდნობითაც გაცემულია რეკომენდაცია, რომ შემუშავებული ონლაინ პლატფორმა წარმოადგენდეს მუდმივ ინფორმაციის წყაროს ეთნიკური უმცირესობებისთვის.
- ახალგაზრდა თაობაში არჩევნებში ჩართულობის მოტივაციის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია, **ჩატარდეს არაფორმალური ხასიათის სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივიზმთან დაკავშირებული ტრენინგები.** აღნიშნული ტრენინგები უნდა ჩატარდეს უშუალოდ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რათა მონაწილეებმა შეძლონ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. ასეთ ტრენინგებს უნდა ჰქონდეს მუდმივი ხასიათი, რათა ადგილობრივ მოსახლეობაში გაჩნდეს პოლიტიკაში ჩართულობის, არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების ინტერესი. აღნიშნული რეკომენდაცია ეყრდნობა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგებს, რამაც გამოავლინა, რომ ენობრივი ბარიერის გამო, ისინი ვერ იღებენ მონაწილეობას არაფორმალური ტიპის პოლიტიკურ ან სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებულ ტრენინგებში.

<u>რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტიებს</u>

- **შეიქმნას პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან კონსულტაციების ჩატარების მექანიზმი ეთნიკური უმცირესობებისთვის.** როგორც ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგებმა აჩვენა, ეთნიკურ უმცირესობებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალიან დიდი დისტანცია არსებობს და ხშირ შემთხვევაში, ეთნიკურ უმცირესობებს არ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი

რესურსების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად დადგენილ საჭიროებაზე დაყრდნობით. კონსულტაციების საშუალებით შემცირდება ზემოთ ნახსენები დისტანცია და ეთნიკურ უმცირესობებსაც მეტი ინფორმაცია ექნებათ არსებული სერვისების შესახებ.

- **შეიქმნას პარტიების ქალთა ორგანიზაციების მსგავსი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სტრუქტურები,** რომლებიც იმუშავებენ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობაზე, ხელს შეუწყობენ მათ პოლიტიკურ განათლებას და წაახალისებენ მათ არჩევნებში ჩართულობასა და ხმის მიცემას. მსგავსი სტრუქტურები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს კონკრეტული ბარიერების გადალახვაში დაეხმარება და, შესაბამისად, გაზრდის საარჩევნო პროცესში მათ ჩართულობას.

<u>რეკომენდაციები ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო პარტნიორებს</u>

- არასამთავრობო სექტორმა და ევროკავშირის დელეგაციამ **შექმნან პოლიტიკური პარტიების რეესტრი ან რაიმე სხვა ტიპის საინფორმაციო წყარო, სადაც ჩამოთვლილი იქნება პარტიების ყველა წევრი და მათი საარჩევნო კამპანიები,** რომელიც იქნება საერთო რესურსი და ინფორმაციის თანაბარი წყარო როგორც ქართულენოვანი საზოგადოებისთვის, ასევე ეთნიკური უმცირესობებისთვისაც. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე. აღნიშნული რეკომენდაცია ეყრდნობა ფოკუს ჯგუფების შედეგებს, სადაც ამ მიმართულებით ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა გამოვლინდა.
- **დაინერგოს თანატოლ განმანათლებლების პროგრამა, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციები და ევროკავშირის დელეგაცია ხელს შეუწყობენ არა მხოლოდ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და აზრის დაფიქსირების მნიშვნელობის მიმართულებით, არამედ მათი პირადი უნარების განვითარებასაც.** რეკომენდირებული პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებისთვის რეგიონებში ჩატარდება ტრენინგები და მოხდება მათი გადამზადება, რათა შემდეგ მათ თვითონვე შეძლოთ თავიანთი თანატოლებისთვის ჩაატარონ არაფორმალური საგანმანათლებლო ტრენინგები. აღნიშნული მექანიზმის

საშუალებით, შესაძლებელი გახდება რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისთვის ინფორმაციის მიწოდება.

- **ევროკავშირის დელეგაციის მიერ გაცემული გრანტების მეშვეობით, წელიწადში მინიმუმ სამჯერ ჩატარდეს საერთო დისკუსია ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლის მიზანი იქნება არა მხოლოდ მათი ცნობიერების ამაღლება, არამედ ქართულენოვან საზოგადოებაში მათი ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობაც.** გარდა ამისა, მსგავსი დისკუსიები, რომლებიც ევროკავშირის მონიტორინგის ქვეშ ჩატარდება, ეთნიკურად ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების დამყარებას შეუწყობს ხელს. ევროკავშირის დელეგაციამ და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთად უნდა იმუშაონ აღნიშნული პროგრამების შემუშავებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

გვასალია, თამარ. თ. გ. 2024. *რატომ არ ისმის ეთნიკური უმცირესობების ხმა ადგილობრივ დონეზე?* ხელმისაწვდომია: https://komentari.ge/article/ratom-ar-ismis-ethnikuri-umtsiresobebis-khma-adgilobriv-doneze/. ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

დალაქიშვილი, მარიამ & ირემაშვილი, ნინო. 2020. განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatlebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi . ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

კახიშვილი, ლევან. 2018. *კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები.* პოლიტიკის ნარკვევი, თბილისი: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზ-მის შესწავლის ცენტრი. ხელმისაწვდომია: https://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

კუნჭულია, ლელა. 2014. *როგორ ხვდებიან ეთნიკური უმცირესობები არჩევნებს.* ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/25418324.html. ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

მხეიძე, ირაკლი. 2020. *საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა - საერთაშორისო სტანდარტები, საზღვარგარეთის პრაქტიკა და საქართველოს რეალობა.* თბილისი, ივნისი.ხელმისაწვდომია: https://asb.ge/storage/media/other/2022-11-01/4569eab0-59cd-11ed-b418-61b5633437e7.pdf ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. „არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში.“ თბილისი. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/არჩევნები_ეთნიკური_უმცირესობების_რეგიონებში_1634114474.pdf ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

—. 2021. „უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83. ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

ღია საზოგადოების ფონდი. 2019. „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა.“ ხელმისაწვდომია: https://csf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/ ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

ცესკო. 2024. *ცესკოში შექმნილი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა.* ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033364-tseskoshi-shekmnili-etnikuri-umtsiresobebis-sakitkhebze-momushave-jgufis-shekhvedra#. ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

Election Observation Mission. 2021. *Interim Report 26 August – 15 September 2021.* Tbilisi: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights.

Fleras, Augie 2022. სისტემური მედიამრავალფეროვნება - საერთაშორისო მედიის პრაქტიკის მიმოხილვა. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/sistemuri-mediamravalferovneba-saertashoriso-mediis-praktikis-mimokhilva. ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

Geostat.ge 2014. *მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და ეროვნებების ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi. ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

Publika.ge 2022. *როგორ და რატომ არიან ეთნიკური უმცირესობები საქართველოში გარიყულები?* ხელმისაწვდომია: https://publika.ge/article/rogor-da-ratom-arian-etnikuri-umciresobebi-saqartveloshi-gariyulebi/ ბოლოჯერ ნანახია: 10 მაისი, 2024

Veloy-Mateu, Sandra. 2016. "The Armenian Minority in the Samtskhe-Javakheti Region of Georgia: Civic Integration and its Barriers Policy Paper." Policy Paper.

ინდექსი

ფოკუს ჯგუფი:

სამცხე-ჯავახეთი

- ახალქალაქი, ასაკი 18-35, 7 მონაწილე, 1 მაისი 2024
- ნინოწმინდა, ასაკი 35-65, 5 მონაწილე, 2 მაისი 2024
- ახალციხე, შერეული, 5 მონაწილე, 3 მაისი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, და GIP-ის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ვიქტორია არაქელიანი, *„უფსკრული/ხიდჩატეხილობის პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის: ბარიერები და გამოწვევები არჩევნებში ხმის მიცემის პროცესში“*, პოლიტიკის ნარკვევი #65, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ:
www.gip.ge